



ინსტიტუციური რეფორმების რა პერსპექტივები არსებობს სახელმწიფოს მიტაცების პირობებში?

ინტერვიუ ექსპერტთან - პროფესორ მაიკლ ჯონსტონთან

ინტერვიუს უძღვება თეონა ზურაბიშვილი, პოლიტიკის უმცროსი ანალიტიკოსი

„ანგარიშვალდებული ინსტიტუტები და გამჭვირვალობა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ არ არიან ადამიანები და ჯგუფები, რომლებსაც მათი გამოყენების ინტერესი აქვთ; და ეს, დიდი ალბათობით, ეხება მათ პირად ინტერესებსა და დღის წესრიგს, ვიდრე (დასაწყისში მაინც) რაიმე ტიპის საჯარო რეფორმირების დღის წესრიგს“

მაიკლ ჯონსტონი კოლგეიტის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი, აშშ) პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორ-ემერიტუსია. მისი პროფესიული კომპეტენცია ისეთ მიმართულებებს მოიცავს, როგორებიცაა შედარებითი და ამერიკის პოლიტიკა, საჯარო პოლიტიკა, კორუფცია, დემოკრატიზაცია და განვითარება. პროფ. ჯონსტონი ასწავლიდა პიტსბურგის უნივერსიტეტში და არის გლაზგოს უნივერსიტეტის (შოტლანდია) ურბანული და რეგიონული კვლევის ცენტრის მოწვეული ლექტორი და მკვლევარი; იორკის უნივერსიტეტის (ინგლისი) პოლიტიკის დეპარტამენტის და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ინსტიტუტის მოწვეული მკვლევარი; დარემის უნივერსიტეტის წმ. ეიდენის კოლეჯის (ინგლისი) პოლიტიკის დეპარტამენტის მოწვეული პროფესორი და მკვლევარი; სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის (ესპანეთი) პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მოწვეული პროფესორი; პრინსტონის (ნიუ-ჯერსი, აშშ) პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის წევრი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ეროვნული ფონდის მკვლევარი.

მაიკლ ჯონსტონი კორუფციასთან ბრძოლის სფეროს ერთ-ერთი პიონერია; მან კორუფციის კვლევა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყო, როდესაც ცოტა თუ საუბრობდა ამ საკითხებზე. პროფ. ჯონსტონი მრავალი წიგნისა და ნაშრომის ავტორია, მათ შორისაა: „*საჯარო სექტორის კორუფცია*“ (ანთოლოგიის

ოთხტომეული), (ლონდონი: Sage UK, 2010); „კორუფციის სინდრომები“ (კემბრიჯი და ნიუ-იორკი: Cambridge University Press, 2005); „სამოქალაქო საზოგადოება და კორუფცია: მობილიზაცია რეფორმისთვის“ (კოლგეიტის უნივერსიტეტის ეთიკისა და მსოფლიო საზოგადოებების ცენტრის ნაშრომთა კრებული; ლანემი, მერილენდი: University Press of America); „პოლიტიკური კორუფცია: კონცეფციები და კონტექსტები“ (ნიუ ბრუნსვიკი, ნიუ-ჯერსი: Transaction Publishers, 2002) (თანარედაქტორი ა. ჰეიდენჰაიმერი); „პოლიტიკური კორუფცია: სახელმძღვანელო“ (1989); „თაღლითობა, უაზრო ხარჯვა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ხელისუფლებაში: მიზეზი, შედეგები და გამოსწორების საშუალებები“ (1986); „პოლიტიკური კორუფცია და საჯარო პოლიტიკა ამერიკაში“ (Brooks/Cole Publishing, 1982). მისი სტატიები იბეჭდება ჟურნალებში, როგორებიცაა Crime, Law, and Social Change, Asian Perspectives, Comparative Politics, Public Integrity, African Studies Quarterly, Publius, Polity, The Political Quarterly, American Political Science Review, Urban Affairs Quarterly, Review of Black Political Economy, Journal of Democracy; აქვეყნებს კვლევებს სამეცნიერო ნაშრომების ბევრ კრებულში, მათ შორის გამოქვეყნებული აქვს „ბრიტანეთის სოციალური დამოკიდებულებების კვლევის“ რამდენიმე ანგარიში. პროფესორ ჯონსტონს მომზადებული აქვს რჩევები და პუბლიკაციები საჯარო პოლიტიკის შესახებ მსოფლიო ბანკის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სხვა ჯგუფების ეგიდით. აღსანიშნავია, რომ მისი წიგნიდან ერთ-ერთს - „კორუფციის სინდრომები,“ 2009 წელს გროუმეიერის პრიზი მიენიჭა მსოფლიო წესრიგის გაუმჯობესების იდეებისთვის (Grawemeyer Award for Ideas Improving World Order), რომელიც მას ლუისვილის უნივერსიტეტმა გადასცა. ეს წიგნი გამოიცა რუმინულ, არაბულ და ჩინურ ენებზე. პროფესორი ჯონსტონი არის Crime, Law, and Social Change (ციტირებადი კვლევითი ჟურნალი, რომელსაც კვარტალურად გამოსცემს Springer-ი) სარედაქციო საბჭოს წევრი, ხოლო 1995-2010 წლებში ის იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა ამერიკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი.

თ.ზ. ევროკომისიის გადაწყვეტილებით ნათელია, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებაზე. სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უდიდესი უმრავლესობა თანხმდება, რომ ამ რეკომენდაციების შესრულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. თუმცა, სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტორებს არა აქვთ ერთიანი, შეთანხმებული მიდგომა, თუ რა საშუალებებით უნდა იქნეს ეს მიღწეული. ამ სიცხადის ნაკლებობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ევროკომისიას თავისი რეკომენდაციები პრიორიტეტებად არ დაულაგებია - გამოქვეყნებული რეკომენდაციების რიგითობა ქმედებების

ჩამონათვალია, რომელშიც არ არის მითითებული, ამ ქმედებათა რა თანმიმდევრობას ანიჭებს ევროკომისია უპირატესობას. თქვენი აზრით, მოცემულ მომენტში, რომელი რეკომენდაციის შესრულება უნდა იყოს პრიორიტეტული ისეთ ქვეყანაში, სადაც აშკარაა, რომ სახელმწიფო მიტაცებულია?

მ.ჯ. ყველაზე მეტად რაც მაკვირვებს ევროკავშირის ჩამონათვალში ის არის, რომ ევროკავშირი, თითქოს, საქართველოსგან ითხოვს ათწლეულების საქმის წლის ბოლომდე შესრულებას. კრიტერიუმები მეც მაინტერესებს - როგორ შეიძლება საქართველომ აჩვენოს, რომ, მაგალითად, ის ამცირებს ოლიგარქების ძალაუფლებას და გავლენას? მე შემიძლია, შევადგინო შესაძლო საზომებისა თუ შეფასების

ინსტრუმენტების სია, მაგრამ ამ ყველაფრის შესრულებას ბევრად მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ეს საქართველოს აქვს მიცემული. ვიცი, რომ ევროკავშირის წინსვლის ხილვა სურს და არა საბოლოო შედეგების, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რთულია, იცოდეთ, რას ფიქრობენ ისინი.

ჩამოთვლილი მიზნებიდან შესაძლოა გირჩიოთ, ფოკუსირდეთ მართლმსაჯულების რეფორმაზე და მიიღოთ ზომები ქალების სტატუსის საკითხსა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან დაკავშირებით. ამ ნაბიჯებით აჩვენებდით რეკომენდაციების შესრულებისთვის მზაობას. პირველ საკითხთან დაკავშირებით მგონია, რომ საქართველოში ამის გარკვეული ინერცია უკვე არსებობს, თუ გავითვალისწინებთ კადრების დიდ ცვლას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ; უდავოა, რომ მეტია გასაკეთებელი და ალბათ, შესაძლებელია მართლმსაჯულების სისტემაში მეორე ფუნდამენტური გარდამავალი პერიოდის დაწყება. რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ მნიშვნელოვანია, აჩვენოთ ურყევი განზრახვა, შეცვალოთ საქართველოს საზოგადოებაში ზოგი ღრმად ფესვგადგმული ასპექტი (იგივე შეიძლება ამ თვალსაზრისით ითქვას ამერიკის საზოგადოებაზე); ასევე, აჩვენოთ გარკვეული სინერგია ამ ორ საკითხს შორის ქალთა წინააღმდეგ ძალადობის და დისკრიმინაციის საქმეების უფრო ინტენსიური და პროფესიული განხილვით სასამართლოებში, რაც კარგი იქნებოდა როგორც ამ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით, ასევე ევროკავშირისთვის პრაქტიკული ნაბიჯების საჩვენებლად. ამ კომბინაციაში უფრო აქტიურად უნდა იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები ჩართულნი.

რაც ეხება ანტიკორუფციული სააგენტოს საკითხს, წლის ბოლომდე შესაძლებელია,

მოესწროს მოძრაობის დაწყება საზოგადოების ინფორმირების და ჩართულობის ძალისხმევის გასაფართოებლად, როგორც ეს ჰონგ-კონგში მოხდა. შესაძლებელია, ასევე, შემოიღოთ მთავრობის საქმიანობის შეფასების ახალი ინდიკატორები და ორიენტირები, რომლებითაც კორუფციის „კერები“ გამოვლინდება და დაიწყოს პროცესი, რომლითაც აჩვენებთ წინსვლას მოქალაქეთა სასიცოცხლო ფუნქციების ხარისხის გაუმჯობესების საკითხში.

თ.ზ. საქართველოს დემოკრატიული წინსვლის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ინსტიტუტების ბევრი წარმომადგენელი დაჟინებით ურჩევს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს, ითანამშრომლონ „ქართულ ოცნებასთან“ (და, თუ საჭიროა, ზეწოლა მოახდინონ ამ პარტიაზე) ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების, მათ შორის კანონის უზენაესობის გაძლიერებისა და დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის მიზნით. შესაძლებელია ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება სახელმწიფოს მიტაცების პირობებში? (თუ შესაძლებელია, როგორ? თუ არ არის შესაძლებელი, რატომ?)

მ.ჯ. მიჭირს მკაფიო პასუხის გაცემა არსებული პარტიული ლიდერების შესახებ მეტი ინფორმაციის ფლობის გარეშე, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მტკიცე მიდგომა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა იყოს პოლიტიკური ჰეგემონების და საიდუმლო გარიგებების შემცირება, რომლებიც სახელმწიფოს მიტაცებას ამყარებს. ამის გაკეთება შეიძლება პოლიტიკური დაფინანსების სქემების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას (პარტიების დაფინანსება)

და ხალხის მონაწილეობის გზით (ერთ-ერთი გზა მცირე კერძო შენატანების და საჯარო დაფინანსების შესაბამისობის სხვადასხვა სქემებია). სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, შეუტეთ სახელმწიფოს მიტაცების პოლიტიკური საფუძვლებს და შეარყიეთ ისინი სანამ დაიწყებდეთ ბრძოლას უშუალოდ კონკრეტული ტიპის კორუფციის წინააღმდეგ, რომელსაც სახელმწიფოს მიტაცება ხდის შესაძლებელს. ამრიგად, დაიხ, ზეწოლა საჭიროა, მაგრამ ასევე საჭიროა სტიმულები და რესურსები კონკურენციის წასახალისებლად და კონკურენციისა და ქცევის უკეთესი მოდელებით სარგებლის მისაღებად - ახლა რასაც ვთავაზობთ არის ის, რომ არ გააძლიეროთ „ქართული ოცნების“ პოზიცია და დაეხმაროთ კეთილსინდისიერ კონკურენტებს, მოიკრიბონ ძალა საშუალოდან გრძელვადიან პერსპექტივამდე.

თ.ზ. საქართველოში სახელმწიფოს მიტაცება ახლა მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება, რომელიც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელია. თუმცა, საქართველოში არიან ძალაუფლების ისეთი ელიტებიც, რომლებსაც დიდი ფინანსური რესურსები და კონკრეტული ინტერესი აქვთ პოლიტიკასა და მედიაში. მმართველი პარტიის წარმომადგენლების ბოლოდროინდელი განცხადებების თანახმად, ისინი ანტიოლიგარქიულ კანონს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ კი არა, არამედ ოპონენტების წინააღმდეგ გამოიყენებენ. შესაბამისად, უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის გამო ქვეყანაში არ არსებობს თანხმობა, თუ რომელ ოლიგარქს ეხება ევროკომისიის რეკომენდაცია დეოლიგარქიზაციის შესახებ. თქვენი აზრით, რას ნიშნავს საქართველოსთვის ევროკომისიის

რეკომენდაცია „დეოლიგარქიზაციაზე“ და რატომ?

მ.ჯ. არ მინდა ცინიკური გამოვჩნდე, მაგრამ მათი რეკომენდაცია მაფიქრებინებს, რომ მათ დიდი დრო არ დაუთმიათ ქართული პოლიტიკის გააზრებისთვის, ანდა მათი რეკომენდაციები, რეალურად, არ არის კეთილსინდისიერად შემოთავაზებული. მე ძალიან რეალური და მოსალოდნელი მეჩვენება ის, რომ ანტიოლიგარქიული კანონმდებლობა გამოყენებული იქნება კონკურენტების წინააღმდეგ - იმდენად, რამდენადაც სამართალდამცავთა მიდგომები დეოლიგარქიზაციის მიმართ ახლა უაღრესად არაკეთილსაიმედოა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკეთესი იქნებოდა რესურსების და სტიმულების გამოყენება პოლიტიკური კონკურენციის თანდათანობით გასაზრდელად - „თანდათანობით“ არა გაუბედაობის გამო, არამედ იმიტომ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კორუფციული აპოკალიფსი თანამდებობის პირებსა და პოლიტიკოსებს შორის, რომლებმაც, შესაძლოა, უეცრად საფრთხე იგრძნონ და ამიტომ, შეძლებისდაგვარად მეტი და შეძლებისდაგვარად სწრაფად მიითვისონ ყველაფერი, რასაც შეძლებენ; ეს უნდა გაკეთდეს რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც პოლიტიკური რეფორმა, არა როგორც სამართალდამცავი ან თუნდაც, კონკრეტული ტიპის კორუფციის შეჩერების მცდელობა. არსებულ კორუფციულ მოდელებს პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური მონოპოლიები ამყარებს და მათთვის ძირის გამოთხრა ყველაზე საიმედო და მდგრადი სტრატეგიაა.

თ.ზ. საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს და საქართველოს ზოგ სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტორს მიაჩნია, რომ ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება (რომლებიც ევროკომისიის რეკომენდაციებშია აღნიშნული) ბუნებრივად გამოიწვევს „დეოლიგარქიზაციას“ და აღმოფხვრის კერძო ინტერესთა (vested interests) ჭარბ ზეგავლენას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე. რამდენად შეუძლია კერძო ინტერესებს (vested interests) რეფორმების ბლოკირება? რა პრაქტიკა არსებობს გარდამავალ დემოკრატიებში?

მ.ჯ. ეს შესანიშნავი კითხვაა, რადგან მიმაჩნია, რომ ამ ტიპის წინსვლის მიღწევა - თუ საერთოდ შესაძლებელია - თანდათანობით და არაპირდაპირი გზებით ხდება. პირადი ინტერესები შეიძლება ძალიან ძლიერი იყოს ისეთი რეფორმების ბლოკირებაში, რომლებიც უშუალოდ მათ ინტერესთა სფეროს ემუქრება, მაგრამ ზომებმა, რომლებიც მათ ალტერნატივებს უჩენს, შესაძლოა ზოგი ახლად გამოჩენილი კონკურენტი გააძლიეროს. თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას ორ პარალელურ საზრუნავს - მეტი ადამიანის და ინტერესების შემოყვანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპარეზზე მაშინაც კი, თუ ისინი დასაწყისში არ ერთიანდებიან კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად (თავიდან, სავარაუდოდ, ამისთვის არც გაერთიანდებიან); ეს ნიშნავს ყველა ტიპის ჯგუფის (ქალების, სტუდენტების, ფერმერების, მცირე ზომის კომერსანტების და ა.შ.) წახალისებას ორგანიზებისკენ და ლიდერების და სოციალური კაპიტალის შექმნისკენ. მეორე არის ღია და ღირებული პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ჯერ შექმნა და მერე დაცვა, რომელშიც ინდივიდებსა და ჯგუფებს საკუთარი ინტერესების გამოხატვა

და საერთო საზრუნავის გარშემო გაერთიანება შეეძლებათ. ეს, სხვა საკითხებთან ერთად, სამოქალაქო თავისუფლებების, გამოხატვის და შეკრების თავისუფლების, თუ სხვა უფლებების საკითხია მაშინაც კი, თუ არცერთი მათგანი არ იქნება მყისიერად კორუფციის ან ოლიგარქების წინააღმდეგ გამოყენებული. სამაგიეროდ, ეს აქტივები მრავალმხრივ სასარგებლოა და ეხმარება სოციალური და პოლიტიკური კაპიტალის შექმნასა და დაგროვებას, რომელიც უშუალოდ ოლიგარქების მიერ არ კონტროლდება. თუმცა, ამის გაკეთება არც ადვილია და არც შესაძლებელი ოპოზიციის გარეშე. ვიცი და ასევე, მჯერა, რომ საქართველოს უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება და ინერცია ამ სფეროებში.

თ.ზ. სახელმწიფოს მიტაცების საკითხზე კვლევები აჩვენებს მიზეზშედეგობრივ კავშირს მიტაცებასა და რეფორმების გატარებას შორის ორივე მიმართულებით, რაც ეგრეთ წოდებულ მოჯადოებულ წრეს ქმნის ქვეყნებისთვის. ზოგადად, მკვლევრები ასახელებენ სამ მექანიზმს (ვერტიკალურს, ჰორიზონტალურსა და საერთაშორისოს), რომლებსაც ანგარიშვალდებულებების გამოწვევა შეუძლია. თუმცა, პოლიტიკური პარტიების სისუსტის, ხმების მოსყიდვისა და ხელისუფლების ყველა შტოში ერთპარტიული მმართველობის პირობებში, ასევე, მართლმსაჯულების სისტემაში ლოიალური „კლანების“ არსებობის და მმართველი პარტიის საეჭვო პროდასავლური ორიენტაციის გამო საქართველოში ამ მექანიზმებიდან არც ერთი არ მუშაობს. როგორ ფიქრობთ, როგორ შეიძლება საქართველომ გაარღვიოს ეს მოჯადოებულ წრე? საერთაშორისო გამოცდილებიდან რომელიმე შემთხვევას ხომ არ გვირჩევდით?

მ.ჯ. სწორედ ამ მიზეზთა გამო ვუსვამ ხაზს უფრო გრძელვადიან ქმედებას და სოციალურ/პოლიტიკურ კონკურენციას. ანგარიშვალდებული ინსტიტუტები და გამჭვირვალობა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ არ არიან ადამიანები და ჯგუფები, რომლებსაც მათი გამოყენების ინტერესი აქვთ; და ეს, დიდი ალბათობით, ეხება მათ პირად ინტერესებსა და დღის წესრიგს, ვიდრე (დასაწყისში მაინც) რაიმე ტიპის საჯარო რეფორმირების დღის წესრიგს (რითაც მოგვიანებით დაინტერესდებიან, როდესაც ეს ჯგუფები გარკვეულ ძალას მოიკრებენ და მჭიდრო ერთიანობას მიაღწევენ). ასეთი კონკურენტული ინტერესების გაჩენის წახალისება და დაცვა, ინდიკატორების და ორიენტირების გამოყენება წინსვლის საჩვენებლად და დადებითი ყურადღების მიპყრობა იმათკენ, ვინც კარგად მართავს და ხელმძღვანელობს, არაპირდაპირი მაგრამ უმნიშვნელოვანესი მიდგომაა. სოციალური აღორძინება უნდა განიხილებოდეს ნებისმიერი ინსტიტუციური რეფორმის გააქტიურების საშუალებად. განსაკუთრებული ყურადღებით და სკეპტიციზმით უნდა მოეკიდოთ რეფორმირების ნებისმიერ ისეთ „ძალისხმევას“, რომელიც, სინამდვილეში, ანტიკორუფციულ ზომად შენიღბული კონტროლის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ახალი ფორმაა; ასევე, მთავრობის მიერ შექმნილ

არასამთავრობო ორგანიზაციებს, ე.წ. გონგოებს და სხვა ფსევდო სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებს (ჩვენც გვყავს აქ ასეთები), რომლებიც მაღალფარდოვნად საუბრობენ „ხალხის ძალაუფლების“ სცენარებზე, მაგრამ სინამდვილეში ზემოდან კონტროლის განახლებას ემსახურებიან. ისტორიულად, ბევრმა იმ ქვეყანამ, სადაც დღეს კარგი მმართველობაა, ამის მიღწევა იმ თვითდაინტერესებულ ჯგუფებს შორის შეჯიბრის მეშვეობით შეძლეს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ხელისუფლების მხრიდან ცუდ მოპყრობას და არა ანტიკორუფციული გენერალური გეგმების შემუშავების გზით - ანუ, ქმედების მთავარი ვექტორი ქვემოდან ზემოთ მოძრაობს და არა ზემოდან ქვემოთ. ამ სცენარის ისტორიული მაგალითია გაერთიანებული სამეფო, ასევე ავსტრალია და კანადა, თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ დაიჟინებს, რომ იდეალურად იმართება (!). ამ დღეებში სიღრმისეულად გავეცანი ურუგვაის, რუანდას და ესტონეთის ისტორიას და რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორიას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. არავითარ შემთხვევაში არ მინდა შევამცირო ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების მნიშვნელობა, მაგრამ მთავარი ცვლადები აქ, შესაძლოა, იყოს ხალხი და ჯგუფები, რომლებიც საკუთარ ინტერესებისთვის იბრძვიან და არა ის ადამიანები, ვინც რაღაც ტიპის ინსტიტუციურ ცვლილებას ითხოვს.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ორგანიზაციის პოზიციას. შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არ არიან პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ინსტიტუციური რეფორმების რა პერსპექტივები არსებობს სახელმწიფოს მიტაცების პირობებში?, ინტერვიუ ექსპერტთან - პროფესორ მაიკლ ჯონსტონთან, გამოცემა #11, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, აგვისტო, 2022.

© Georgian Institute of Politics, 2021

13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

For more information, please visit

www.gip.ge